



საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 3 17 00000335

20/04/2017

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე და 61-ე მუხლების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ დანაყოფად განისაზღვროს სამინისტროს ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის სამმართველო (შემდგომში - სამმართველო).
2. სამინისტროს სისტემაში გამჭვირვალობისა და საჯაროობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფისა და ერთიანი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციას ახორციელებს სამმართველო. ამ მიზნით, სამმართველო სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებსა და წინადადებებს.
3. სამინისტროს ყოფილ და მოქმედ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების და სხვა საფინანსო საკითხების შესახებ საჯარო ინფორმაციას გასცემს სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტი.
4. სამინისტროს ყოფილ და მოქმედ მოსამსახურეთა სამსახურის გავლასთან დაკავშირებულ საჯარო ინფორმაციას გასცემენ სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვისა და პროფესიული განვითარების დეპარტამენტი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი.
5. თუ ამ ბრძანების მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია ინახება სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში, საჯარო ინფორმაციას გასცემს ის ქვედანაყოფი, სადაც ეს ინფორმაცია ინახება.
6. სამინისტროს სარგებლობაში არსებული/ბალანსზე რიცხული მიწის რესურსების, საბინაო-არასაბინაო ფონდებისა და სხვა უძრავი ქონების შესახებ საჯარო ინფორმაცია გაიცემა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის მიერ.
7. ამ ბრძანების მე-3-მე-6 პუნქტებში მითითებული ქვედანაყოფები, ამავე პუნქტებით განსაზღვრულ შესაბამის საჯარო ინფორმაციას გასცემენ მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ:
ა) ინფორმაცია მოთხოვნილია თავად მონაცემთა სუბიექტის (ან წარმომადგენლის მიერ, სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე) მიერ;

ბ) ინფორმაცია მოთხოვნილია სასამართლოს დავალების/წერილის (გარდა განჩინების/გადაწყვეტილების) საფუძველზე;
გ) ინფორმაცია მოთხოვნილია სსიპ-აღსრულების ეროვნული ბიუროს/კერძო აღმასრულებლის ან სხვა საჯარო დაწესებულების მიერ, მათთვის კანონმდებლობით დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით.

8. ყველა სხვა სახის საჯარო ინფორმაციას, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ამ ბრძანების მე-3-მე-6 პუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციას გაცემს სამმართველო.

9. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილია რამდენიმე ქვედანაყოფის კომპეტენციას მიკუთვნებული საჯარო ინფორმაცია, ამ ბრძანების მე-3-მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული ქვედანაყოფების მიერ განცხადება მოთხოვნილ ინფორმაციასთან ერთად, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის უზრუნველყოფის მიზნით, ეგზავნება სამმართველოს.

10. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფების და სამინისტროს სისტემაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ სამმართველოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

11. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 35-ე და 49-ე მუხლების მოთხოვნათა შესრულების მიზნით:

ა) სამმართველომ, ამ ბრძანების მე-3-მე-6 პუნქტებით განსაზღვრულმა ქვედანაყოფებმა და სამინისტროს სისტემაში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის რეესტრის (დანართი №1) და სტატისტიკური ანგარიშის (დანართი №2) წარმოება;

ბ) ამ ბრძანების მე-3-მე-6 პუნქტებით განსაზღვრულმა ქვედანაყოფებმა ყოველი წლის 2 დეკემბერს სამმართველოს ელექტრონული ფორმით წარუდგინონ საჯარო ინფორმაციის რეესტრი (დანართი №1) და სტატისტიკური ანგარიში (დანართი №2);

გ) სამმართველომ უზრუნველყოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ანგარიშის შედგენა და ყოველი წლის 10 დეკემბერს მისი წარდგენა საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის, აგრეთვე გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

12. საჯარო ინფორმაციის რეესტრი (დანართი №1) და სტატისტიკური ანგარიში (დანართი №2) უნდა მოიცავდეს ინფორმაციას წინა წლის 1 დეკემბრიდან მიმდინარე წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

13. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 23 ივნისის №863 ბრძანება.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი
ლევან იზორია